# შრომისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება სახარებისა და წმინდა ილია მართლის მიხედვით

**ნარი ჩხაბერიძე**
*რელიგიათმცოდნე, თეოლოგიის დოქტორი*
*დამოუკიდებელი მკვლევარი*
*ელ.ფოსტა: chkhaberidzenari@gmail.com*
*ORCID: https://orcid.org/0009-0001-7011-4818*

**აბსტრაქტი.** საკონფერენციო მოხსენება ეძღვნება შრომის არსობრივი მნიშვნელობის ქრისტიანული მსოფლმხედველობით გააზრებას ადამიანის ცხოვრებაში. საკითხი ახსნილია წმინდა წერილისა და წმინდა ილია მართლის ლიტერატურული თხზულებების მიხედვით. ყურადღებას ვამახვილებთ მის იმ ნააზრევებზე, სადაც შრომისადმი ჯანსაღი მიმართების საკითხებს განიხილავს. წმინდა ილია მართლის მიერ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომას ქვეყნის შენების საქმეში, ჭეშმარიტ ცოდნასა და ლოცვასთან ერთად.

კვლევისას ასევე გაანალიზებული გვაქვს იერუსალიმში ქრისტეს ვირით შესვლის სიუჟეტი, სადაც სახე-სიმბოლო „ვირის“ (ძვ. ქართული „კარაული“) ალეგორიული მინიშნებაა წარმოდგენილი. მისი გააზრება, ჩვენი თვალთახედვით, შრომისმოყვარეობის სათნოების სიმბოლურ გამოხატულებად არის შესაძლებელი.

ქრისტიან ეგზეგეტთა რწმუნებით, პასექის დღესასწაულზე ქრისტეს იერუსალიმში შესვლის სახარებისეულ ეპიზოდში „ვირის“ სიმბოლოთი გამოიხატება თავმდაბლობის, მორჩილება-თვინიერებისა და მშვიდობისმყოფელობის სათნოებანი. ამის გათვალისწინებით, დამატებით ყურადღებას იმსახურებს სახე-სიმბოლო „ვირის“ მძიმე შრომასთან ასოცირება, რის საფუძველსაც იძლევა სახარებაში საგანგებოდ მითითებული – „ნაშობი კარაულისაგან“ (მათე 21, 5). „კარაული“ აქ სწორედ მძიმედ ნაშრომ-ნაჯაფ ვირზე მიგვითითებს, ხოლო საკუთრივ „მძიმე შრომითა და ჯაფით“ მოიაზრება ადამიანის ღვთივბოძებულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად რეალიზებული იმგვარი შრომა, რისი მეოხებითაც შრომის სიმძიმე გარდაისახება შრომისმოყვარეობად ქრისტესმიერად, რომლის „უღელი ტკბილ არს, და ტჳრთი სუბუქ არს“ (მათე 11, 30). ამდენად, შრომისმოყვარეობის წარმმართველი თავად ქრისტე ხდება და სწორედ იგი გვიმსუბუქებს ყოველგვარ სიმძიმეს.

სახარების ამგვარი გააზრებიდან მომდინარეობს, შრომისადმი ილია მართლისმიერი მიდგომაც, სადაც იგი ოთარაანთ ქვრივის პირით გვაფრთხილებს, რომ თვალმოუხუჭავი შრომაა საჭირო, რისთვისაც კაცმა, თავისი პოტენციური უნარების მაქსიმალური გამოყენებით უნდა იმოქმედოს, ქრისტიანულ სრულქმნილებაზე თუ აქვს პრეტენზია. ასეთ ადამიანს ნუგეშად მუდამ ჩაესმის ქრისტესმიერ: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ“ (მათე 11, 28).

ამდენად, იერუსალიმში დიდებით შემავალი ვირზე ამხედრებული მაცხოვარი, ვირის სახეხატით მიგვანიშნებს, რომ ადამიანისგან ქრისტიანული კეთილი საქმეებით წარმართული შრომის სიმძიმეს - თავად ქრისტე გვიმსუბუქებს. ღმერთმა ადამიანებს უქმად ყოფნისთვის არ მოგვცა შემოქმედებითი ნიჭი და უსაზღვრო ძალისხმევის უნარები, არამედ ჩვენი შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზება გვევალდებულება, რათა შევძლოთ მისი საღვთოდ გამოყენება, რისთვისაც სინამდვილეში გვაქვს იგი ბოძებული. ღვთისადმი ჩვენგან აღვლენილი ჭეშმარიტი მსხვერპლშეწირვაც, ისევ ჩვენსავე სასიკეთოდ, საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე საღვთოდ რეალიზება-

ხარჯვაში უნდა მოიაზრებოდეს. ამგვარი ძალისხმევით არის შესაძლებელი მივაღწიოთ საბოლოოდ განღმრთობის სანუკვარ მიზანსაც.

**საკვანძო სიტყვები:** ქრისტიანობა; სახარება; შრომა; ილია მართალი; შრომისმოყვარეობა.

* * *

**შესავალი:** საკონფერენციო მოხსენება ეხება ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა შრომის დანიშნულება ადამიანისათვის. საკვლევი პრობლემის არსი მდგომარეს შრომის მნიშვნელობის წარმოჩენაში, მისი აუცილებელი საჭიროების გააზრებასა და ადამიანების მისდამი დამოკიდებულების მართებულობის გაანალიზებაში. კვლევის მიზანია ამ ყველაფრის ახსნა წმინდა წერილისა და წმინდა ილია მართლის თვალსაზრისებით, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და საიმედო შეხედულებებისა, სადაც შრომისადმი ჯანსაღი მიმართებაა გამოკვეთილი. ამ მხრივ ვიკვლევთ, როგორც წმინდა წერილში ანთროპოლოგიური სრულქმნილების გააზრებას, ასევე, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ თხზულებებსა და საქართველოში ამ საკითხისადმი მიდგომის ისტორიულ განვითარებას.

თავდაპირველად განვიხილავთ შრომისადმი წმინდა წერილისეულ დამოკიდებულებას, როგორც ბიბლიური ძველი აღთქმის შესაქმიდანვე მოხსენიებულსა და სახარებისეული სიმბოლო „ვირის“ ეგზეგეტიკური ანალიზის საფუძველზე. ამ ჭეშმარიტად ავტორიტეტული წყაროდან გადავდივართ შრომის აუცილებლობის მოტივის განხილვაზე საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში. ასევე, ვახდენთ ანთროპლოგიური თვალსაზრისით კვლევას თემასთან დაკავშირებულ საკითხზე - სიზარმაცე და მისგან მომდინარე საძრახი თვისებები.

ამ საკითხებს სწორედ წმინდა ილია მართლის ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზით ვიკვლევთ, რადგან მათში აქვს დათმობილი ჯეროვანი ყურადღება. მასვე აქვს, ასევე, აღწერილი შრომა-გარჯის სათნოებისა და ადამიანის სრულქმნილების საკითხიც. ამასთანავე, ვაანალიზებთ შრომის პირობების შექმნის პრობლემას და ნაშრომის მსჯელობის ბოლო პუნქტი ეთმობა საკითხს - შრომის ახსნა, როგორც ეპოქალური მისია საქართველოში.

შედეგად, გამოგვაქვს კვლევის საბოლოო დასკვნები, რის მიხედვითაც შრომა წარმოჩენილია, არა მხოლოდ ეკონომიკური ან სოციალური აუცილებლობა, არამედ ადამიანის განღმრთობისათვის აუცილებელი, პიროვნული ღირსებისა და შემოქმედისადმი მსგავსების დასტური. შრომისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება სახარებისა და წმინდა ილია მართლის მიხედვით ცხადჰყოფს, რომ შრომა სიყვარულით მსახურების შედეგად აღსრულებული მოწოდებაა, რითაც იგი იქცევა არა იძულებად, არამედ სიყვარულითვე სულიერი ზრდისა და ისტორიული განვითარების ჯანსაღი პასუხისმგებლობის გამოხატულებად.

**კვლევის მეთოდები:** კვლევისას გამოყენებული გვაქვს: ბიბლიურ-ეგზეგეტიკური, ჰერმენევტიკული, სემიოტიკური და ისტორიულ-კომპარატივისტიკული მეთოდები. ბიბლიურ-ეგზეგეტიკური განმარტება მოვიძიეთ პატრისტიკული ტრადიციების საფუძველზე. შესაბამისად, კვლევა ტრადიციულად არის გააზრებული, რაზე დაყრდნობითაც გვაქვს გაკეთებული სემიოტიკურ-ალეგორიული ანალიზი, კერძოდ, სიმბოლო „ვირის“ მრავალშრიანი ინტერპრეტაცია (მორჩილება, მშვიდობა, შრომა, ტვირთმზიდველობა). შედეგად - შრომისმოყვარეობასთან პირდაპირი კავშირიც გამოიკვეთა.

ჰერმენევტიკული მეთოდით, სახარებისა და წმინდა ილია მართლის ლიტერატურული შემოქმედების არეალში ურთიერთმიმართებით ვქმნით ტექსტთაშორის დიალოგს. ასევე ვახდენთ ისტორიულ-კულტურულ ანალიზს საქართველოს ისტორიული სინამდვილის კონტექსტში შრომის მნიშვ-

ნელობის გააზრებით (ეროვნული გადარჩენა, ეკონომიკური ბრძოლა, ეპოქალური მისია). ამგვარად ინტერდისციპლინარული კვლევით თეოლოგიას სოციალურ სინამდვილესთან ვაკავშირებთ.

საკვლევი საკითხისადმი ანთროპოლოგიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მიდგომით ნაშრომი მთლიანად კონსტრუქციულია. შედეგად, სტრუქტურულ ბალანსს საბოლოოდ მივჰყავართ დასკვნამდე, სადაც წარმოჩენილია შრომა, როგორც ადამიანის სრულქმნილებისა და განღმრთობის გზა.

**მსჯელობა: 1. შრომისადმი წმინდა წერილისეული დამოკიდებულება და სახარებისეული სიმბოლო „ვირი“.**

ბიბლია კაცის დანიშნულებას უკვე სამოთხეშივე შრომასთან აკავშირებს: „...და დაადგინა იგი სამოთხეში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15). აქედან გამომდინარე, შრომა ადამიანის არსებობისთვის აუცილებელობას წარმოადგენს სამოთხისეულ ნეტარებაშიც კი, ანუ ვიდრე ცოდვით დაცემამდეც.

შრომა-გარჯასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ განსახილველ საკითხზე მეტად სარწმუნო დასკვნების გამოსატანად, მისი ქრისტიანული სარწმუნოების შუქზე განხილვა მივიჩნიეთ საჭიროდ. კვლევისთვის ვაანალიზებთ სახარებისეულ სიმბოლო „ვირის“ შრომასთან ასოცირებულ სემიოტიკურ მნიშვნელობას. ზოომორფული სიმბოლიკის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ბიბლიიდან. ცხოველთა თვისობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე ხშირად სიმბოლოთმეტყველებს წმინდა წერილი, საიდანაც, ერთ-ერთი ფრიად საყურადღებოა სახარებისეული სიმბოლო – ვირი, რომელსაც იერუსალიმში ქრისტეს დიდებით შესვლისას ვხედავთ. ეგზეგეტების – იოანე ოქროპირის, თეოფილაქტე ბულგარელის, მეთოდი პატარელის, ინოკენტის, მიტროპოლიტი ფილარეტის და სხვათა ახსნით, სახედრის არჩევა სიმბოლურად ასახავს მშვიდობის, მორჩილებისა და თავმდაბლობის სიმბოლოს, თუმცა მიგვაჩნია, რომ მას, ამავდროულად, როგორც მძიმე ტვირთმზიდველ ცხოველს, შრომისმოყვარეობასთანაც ასევე ერთ-ერთ პირველ რიგში უნდა ვაკავშირებდეთ. ამის თაობაზე ეგზეგეტების განმარტებებში, მართალია ვერბალური სიზუსტით არავინ საუბრობს, მაგრამ თუ ყურადღებით გავაანალიზებთ, მრავალ მათგანში იკითხება შესაბამისი შინაარსი.

თავად სახარებაში, აღნიშნულ სიუჟეტში ვირი საგანგებოდ არის მოხსენიებული ძველქართული სიტყვით კარაული: „ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა“ (მათე 21:15). „კარაული“ აქ სწორედ მძიმედ ნაშრომ-ნაჯაფ ვირზე მიგვითითებს. ამ სიტყვაზე ამახვილებს ყურადრებას ეგზეგეტი მიტროპოლიტი ფილარეტიც, რომელიც ზაქარიას წინასწარმეტყველებას იხსენებს: „აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი და ზე ზის ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა“ (ზაქ. 9, 9). როგორც ჩანს, იმ პერიოდისთვის სახედრის საკითხს ამ მხრივ დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მიტრ. ფილარეტი განმარტავს, რომ დიდებულნი, მართალია, ადრეც მოგზაურობდნენ სახედრებით, მაგრამ არასდროს ამგვარი კიცვით, რომელიც იყო შობილი კარაულისაგან, ანუ სამუშაოთა შემსრულებელი, სიმძიმეთა მზიდველი სახედრისაგან, თან ასაკით მცირე ჩოჩორით, რომელიც იყო გაუწვრთნელი და დედისაგან ჯერ მოუშორებელი (შიოშვილი).

ის ფაქტი, რომ ქრისტემ მოწაფეებს კიცვთან ერთად დედის, ანუ კარაულის მიგვრაც დაავალა, ეგზეგეტების მიერ ახსნილია, რომ - კარაული სიმბოლურად ნიშნავს იუდეველებს, როგორც სჯულის მქონეებს. კიცვი კი იმ წარმართებს, ვინც ქრისტე მიიღო. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარალელურად, კარაულის სიმბოლური ახსნისას არ უნდა უგულვებელვყოთ შრომის მნიშვნელობაც. პირიქით, აქცენტი უნდა გავამახვილოთ მასზეც. მის ამგვარ შინაარსზე ნეტარი თეოფილაქტეს ეგზეგეტიკის კვალობაზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ:

...ისინი აქამდე დაბმულნი იყვნენ თავიანთი ცოვდებით „გარეშე შესავალთა“, ანუ ეკლესიის გარეთ. მაგრამ მოწაფეებმა ახსნეს ისინი ნათლობისა და სარწმუნოების მეშვეობით და მათ ასწიეს თავიანთი მხრებით უფალი, მას შემდეგ, რაც ისინი მიყვანილნი იქნენ მოციქულთა მიერ ქრისტეს-

თან, მათ ისწავლეს კეთილკრძალული სვლა, ამიტომაც შეძლეს „ქრისტეს აწევა“ (თ. 11, მ. 1-6) (ბულგარელი).

ნეტარი ეგზეგეტის მიერ აქ მოხმობილ განმარტებაში სიტყვები - „მათ ასწიეს თავიანთი მხრებით უფალი“, ან კიდევ - „ამიტომაც შეძლეს ქრისტეს აწევა“, ცხადად გაიგება სიმბოლურად მძიმე შრომისადმი იმ ქრისტიანული დამოკიდებულებით, სადაც შრომის „სიმძიმე“, ქრისტესმიერ გარდაისახება. ასეთი შრომა შრომისმოყვარეობაში გადადის, ვინაიდან მისი წარმმართველი თავად ქრისტე ხდება, ვინც გვიმსუბუქებს თანმხლებ პრობლემებს. ამის თაობაზე იგი სახარებაში გვანუგეშებს: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ“ (მათე 11, 28); „ტვირთი ჩემი სუბუქ არს და უღელი ჩემი ტკბილ“ (მათ. 11: 30).

სიმბოლო „ვირის“ სემიოტიკაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი აღთქმითაც. მაგალითად, ბალაამის ვირი ღვთის ძალით ალაპარაკდა და წინასწარმეტყველს ანგელოზის ხილვა აუწყა (რიცხ. 22). ასევე, იაკობი თავის შრომისმოყვარე შვილს ისაქარს მოუხმობს, როგორც „მაგარძვლიან ვირს, ორ ხურჯინს შორის მწოლიარეს“, რითაც შრომასთან ასოცირებული სიმბოლო კიდევ ერთხელ იკვეთება (დაბ. 49: 14-15). ამგვარად, ქრისტიანებს ზოომორფულ სიმბოლიკაში ვირი, ისევე როგორც ხარი, უპრობლემოდ შეიძლება გვქონდეს დამკვიდრებული თავდადებული შრომის გამოხატულებად.

საქართველოში, ვირის სახე-სიმბოლო, უმეტესად სიჯიუტესთან არის ასოცირებული. ამასთან საინტერესოა, რომ, ჩვენი თანამედროვეობის ზესახელმწიფოდ აღიარებულ აშშ-ს ერთ-ერთ წარმმართველ ძალას - დემოკრატიულ პარტიას სიმბოლოდ, სწორედ რომ ვირი შეურჩევია. თანაც, თავად სიჯიუტის თვისება დადებითი შინაარსით აქვთ განხილული, და ეს თვისება მიჩნეულია, როგორც - არ დანებება. მართლაც საშური მიგნებაა, როცა სიჯიუტეს ამგვარ სასარგებლო ფუნქციას მოუძებნის ადამიანური აზროვნება. ვინაიდან ვირი იმაზე მეტს მუშაობს, რაც მის ძალებს აღემატება, თან – უხმოდ და უდრტვინველად, სამწუხაროდ, ასეთ ქცევა-თვისებებს ჩვენში ადამიანები სისულელედ უფრო აღიქვამენ, ვიდრე იმ ქრისტიანულ სათნოებად, რასაც ამგვარი ქცევა განაპირობებს. სინამდვილეში, ქრისტიანმა ადამიანმა შეუპოვარი შრომით უნდა იტვირთოს ქრისტიანული ღვაწლი, რითაც საკუთარ ვნებებს უნდა სძლიოს, რომ სათნოებაში მყარად დაემკვიდროს.

**2. შრომის აუცილებლობის მოტივი საქართველოს ისტორიული განვითარებისთვის.**

საქართველოს ისტორიული განვითარება შეუძლებელია გააზრებულ იქნას შრომის კულტურის, როგორც ეროვნული თვითშეგნების საფუძვლად ქცეული ღირებულების გარეშე. ქვეყნის ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ შრომა მხოლოდ ეკონომიკური აუცილებლობა არ ყოფილა; იგი წარმოადგენდა ეთიკურ, სულიერ და ცივილიზაციურ საყრდენს, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას. ეკონომიკური აღმავლობა და სახელმწიფოებრივი ძლიერება მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომის ორგანიზებასთან. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ოქროს ხანაში, დავითის რეფორმებმა - მიწათმოქმედების, ადმინისტრაციული მართვისა და ურბანული ცხოვრების შესაბამისმა განვითარებამ - შექმნა საფუძველი ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობისათვის.

წმინდა ილია მართალი შრომას განიხილავდა, როგორც ეროვნული გადარჩენისა და კულტურული თვითმყოფადობის საფუძველს. მისი ხედვით, შრომისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება არის ერის ზნეობრივი სიმწიფის ნიშანი. შრომა აღქმულია, როგორც ეროვნული აღმშენებლობის ინსტრუმენტი - არა მხოლოდ ინდივიდუალური სარგებლის, არამედ საერთო სიკეთისთვის. წმინდანი, ქვეყნის გასაძლიერებელ საზრუნავთა შორის, პირველ ადგილს - შრომას აკუთვნებს. მისი თქმით, გონივრული შრომის გარეშე, ვერ შეიქმნება ეკონომიკური ძლიერება, - “ეკონომიკურს მხარეს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა” - მოგვიწოდებდა იგი (ჭავჭავაძე, 1993).

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მაშინ, როდესაც შრომა აღიქმებოდა როგორც ღირსება და პასუხისმგებლობა, საქართველო აღწევდა კულტურულ და სახელმწიფოებრივ აღმავლობას; ხოლო შრომითი ეთიკის დაკნინება ხშირად თან ახლდა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისებს. ამდენად, შრომის აუცილებლობის მოტივი, მომდინარეობს როგორც შემოქმედი ღმრთის მსგავსი ადამიანის პიროვნული განვითარებულობის ერთ-ერთი ღირსებიდან, ასევე ქვეყნის გასაძლიერებელი საარსებო საძირკვლიდან. სწორედ ამ საძირკველზე დაეშენება ყველა სიკეთე, რამაც უნდა ააღორძინოს საქართველო, მიუხედავად მისი ძნელბედობისა, რაც ისტორიულად თან ახლავს დამპყრობელთაგან მუდამ გაწამებულ ჩვენს ქვეყანას.

წმინდა ილია მართალი იხსენებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, მაინც ვერ დაგვათმობინა და ვერ წაგვართვა ხმლიანმა მტერმა ჩვენი მიწა-წყალი. შემდეგ გვაფრთხილებს, რომ: - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვები დაეპატრონებიან! მათს ცოდნასა და ხერხს ვერავინღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთო. წმინდანი ასევე გვიხსნის, რომ ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, - იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით (ჭავჭავაძე, 1897).

მწერალი, ცუდსაც და კარგსაც მთელი მონდომებით ჰხედავდა თავის სათაყვანებელი ერისას, იქნებოდა ეს ისტორიული წარსული, თუ თანამედროვე ყოფა-ცხოვრება ქვეყნისა. სამშობლოს ბედიღბალი მუდამ საკუთარ ტკივილადა თუ სიხარულად თან სდევდა წმინდანს (აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა [„ჩემო კალამო“]). მის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ნაწარმოებში - „კაცია ადამიანი“, შრომისადმი უჯერო დამოკიდებულებისა და სიზარმაცით გამოწვეული მანკიერი თვისებების ადამიანთა კრიტიკა გვაქვს მოცემული. საპირისპირო მაგალითს გვაჩვენებს ილია მართალი თავის „ოთარაანთ ქვრივში“, სადაც გამრჯეობისა და ყაირათიანობის თვისების ადამიანთა მაგალითებს აგვიღწერს. მომდევნო პარაგრაფებში ცალ-ცალკე, მოკლედ ვაანალიზებთ აღნიშნულ ანთროპლოგიურ მახასიათებლებსა და მისგან გამოწვეულ შედეგებს კაცის ცხოვრებაში.

**3. სიზარმაცე და მისგან მომდინარე საძრახი თვისებები.**

წმინდა წერილი, ადამიანისათვის შრომა-გარჯის აუცილებლობასთან ერთად, მრავალგზის მეტყველებს მისი ხელშემშლელი მთავარი ვნების - სიზარმაცის დამღუპველ მნიშვნელობაზე. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „წყეულ იყავნ მოქმედი საქმისა ღვთისა უდებებით“ (იერემია 48, 10). ამგვარად მოძღვრავს უდებების (სიზარმაცის) მძიმე ცოდვასთან დაკავშირებით, წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსიც (ქიქოძე) - მარტო საყდარში კი არ უნდა იყო შენ, ძმაო ერის კაცო, ღვთის საქმის მოქმედი, არამედ ყოველნი შენნი საქმენი, მრთელი შენი ცხოვრება ღვთის სადიდებლად უნდა იყოს. წყეულ იყავნ მოქმედნი საქმისა ღვთისასა უდებებით, რომელიც განაშოროს ჩვენგან უფალმან და მხსნელმა ჩვენმა იესო ქრისტემ“ (ქიქოძე).

მწვავე კრიტიკა სიზარმაცისა და ქართველის მიერ შრომისადმი უჯერო დამოკიდებულებისა, მკაფიოდ არის გამოხატული წმინდა ილია მართლის საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებში - „კაცია ადამიანი“. მისი მთავარი გმირები - ლუარსაბი და დარეჯანი კოლორიტულ სახეს წარმოადგენენ ზარმაცი ქართველისა. სიზარმაცისა და მისგან გამოწვეული მრავალგვარი უზნეო თვისებების მქონე ადამიანის საამო საზრუნავი, ამ ქვეყანაზე, მხოლოდ ჭამაზეა დაყვანილი. წმინდანი ჰქმნის

ზოგადად ქართველი კაცის ცუდ თვისებათა დრამას, რომელსაც დაერქვა სახელი - თათქარიძეობა (ბაქრაძე, 2004).

თათქარიძეობის ტიპის ქართველნი გულგრილობას და კმაყოფილებას ადიდებენ; შესაბამისად ვერაფერს ვერ ქმნიან. სად არის მათი სხნა? ილიას აზრით, ყოველი პიროვნების ხსნა მტკიცედ უკავშირდება ღმერთს მიმსგავსებულობის პრობლემას. ე.ი. ადამიანის უპირველესი ამოცანა უზენაესის ბადალი სრულყოფილებისაკენ ლტოლვა ყოფილა, რადგან იცხოვრო ნიშნავს, ეცადო აღასრულო მცნება – იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათე. V, 46). ასეთია წმინდა ილია მართლის დასკვნა “კაცია-ადამიანში“. წმინდანის აზრით, კაცი არ არის ადამიანი, თუ იგი თავის ცხოვრებით არ ეცდება იყოს პირველხატივით სრულქმნილი (ბაქრაძე, 2004).

ქრისტიანული თვალთახედვით, ადამიანისათვის შრომა შეიძლება გააზრებული იყოს, როგორც სინერგიული პროცესი - ღვთის მადლისა და კაცის თავისუფალი ნების თანამოქმედებისა. ზოგადად, წმინდა მამების განმარტებით, ადამიანი მოწოდებულია ღმრთის ენერგიებთან თანამშრომლობისკენ, რათა ქმნილ სამყაროში განახორციელოს ღვთის განზრახვა. ამ კონტექსტში შრომა აღარ არის მხოლოდ ეკონომიკური აქტივობა; იგი ხდება ღვთის შემოქმედებით ნებასთან თანაზიარება. როცა ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, შემოქმედებითი შრომა აღესრულება პასუხისმგებლობით, სიყვარულითა და საერთო კეთილდღეობისაკენ მიმართული ცნობიერებით, იგი იქცევა ლიტურგიულ აქტად - სამყაროს გარდაქმნისა და განწმენდის გზად. ამგვარად, შრომა არის არა მხოლოდ აუცილებლობა, არამედ სულიერი გზაც - სივრცე, სადაც ადამიანი თავისუფლად ეხმიანება ღვთის მადლს და თანამოქმედი ხდება საღვთო ისტორიაში სრულქმნილებისა.

**4. შრომა-გარჯის სათნოება და ადამიანის სრულქმნილების საკითხი.**

შრომა-გარჯის სათნოებას აუცილებლობად მიიჩნევს ილია მართალი ადამიანი რომ ღვთის მსგავსი შემოქმედი გახდეს და საბოლოოდაც განეღმრთოს. იგი ამგვარი სრულქმნილობის მაგალითს გვაცნობს თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივი“. ოთარაანთ ქვრივის პირით მწერალი გვაფრთხილებს, რომ თვალმოუხუჭავი შრომაა საჭირო: „თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო“. ამით ხაზს უსვამს დროის ფასსაც და მის საზრიანად გამოყენებისკენ მიგვითითებს. შესაბამისად, მოწესრიგებული ცხოვრების მაგალითს წარმოგვიდგენს.

ილიას გამჭრიახი გონება, ოთარაანთ ქვრივის დახასიათებით, არამარტო მოწესრიგებული, შრომისმოყვარე ქართველი ქალის სახეს გვიხატავს, არამედ, ქალისა და კაცის შესაძლებლობების თანაბარი რეალიზების მაგალითსაც გვაჩვენებს. მისი მიზანია, დაამსხვრიოს საზოგადოებაში აქამდე დამკვიდრებული ისეთი სტერეოტიპები, რაც ხელს უშლის თანაბრი მონდომებით იყოს ათვისებული ღვთივბოძებული უნარები, მიუხედავად სქესისა. მის გმირს, ნებისმიერ გასაჭირში შეუძლია გამოსავალი იპოვოს საწუთისოფლო პრობლემებისგან. მაგალითად, შრომით თრგუნავს ოთარაანთ ქვრივი მარტოობის გრძნობას (ჭავჭავაძე, 1974: 289).

გამრჯე ოთარაანთ ქვრივმა, ზედმიწევნით სანიმუშოდ აღასრულა ასეთივე გამრჯე ქმრის ანდერძი. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც მხოლოდ მიუმატა და არაფერი დააკლო. ხალხისთვის თითით საჩვენებელი, მისაბაძი ვაჟკაცი აღზარდა მისი გიორგი, რომელსაც მუშაობაში მთელს სოფელში თითქმის სწორი არა ჰყვანდა. მისი სახით ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების სრულად ათვისების საოცარ მაგალითებს გვიჩვენებს ილია მართალი. ოთარაანთ ქვრივი, თავისი სრულქმნილობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, შვილისგან გამრჯეობასთან ერთად, შრომის სიხარულის გამოხატვასაც ითხოვს, როგორც ეს თავის ქმარს ახასიათებდა. მას სიცოცხლის სიხარული მუდამ თან ახლდა, თვით სიკვდილის წინაც კი წარბი არ შეუკრავს. ილია მართალი ამავდროულად დედა-შვილის ურთიერთპატივისცემის ბიბლიამდე ამაღლებულ მაგალითს გვიღწერს (ჭავჭავაძე, 1974: 266).

მათთვის დამახასიათებელია შრომისმოყვარეობა, საკუთარი გარჯით ცხოვრება, უშურველობა (ეგოიზმისგან თავისუფლება), სხვისისა და საკუთარის მიმართ თანაბარი ყურადღება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, რწმენისათვის თავისთავის ზვარაკად მიტანა, მარტოობის შრომით დაძლევა, სიკვდილის შიშის დათრგუნვა. დედა-შვილის საქციელი თანასოფლელებისათვის უჩვეულო და გაუგებარია. კარგად განსწავლულ თავადს არჩილსაც არ ძალუძს გიორგის ადამიანური არსის შეფასება. „დღესაც ვერ გამირკვევია რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენად უღონონი ვართ“ - ამბობს ის (ბაქრაძე).

ამრიგად, ილია მართალი თავისი საოცარი გულმოდგინებითა და ღვთივგანსწავლულობით ახდენს ჩვეულებრივი ადამიანების სრულქმნილობის ამ წუთისოფლურ ყოფაში ცხოვრების აღწერას. მათი სათნოების მთავარი გასაღები ღვთის გზაზე მართლად სიარულია, თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალის შრომა-გარჯაში სრული რეალიზებით. ამგვარი განწყობისთვის, შრომა-გარჯას სწორად განსაზღვრული პირობებიც რომ ესაჭიროება, საუკეთესოდ იცის. ამასთანავე, იმასაც ხედავს, თუ როგორი თვითმპყრობელური ძალადობის ფონზე აშრომებენ თავისუფლება წართმეულ ადამიანებს. რის გამოც, შრომისადმი სიძულვილის გაღვივება უფრო ხდება, ვიდრე მისი სათნო გზით განხორციელება.

**5. შრომის ახსნა, როგორც ეპოქალური მისია საქართველოში.**

მუდამ მამულის სატკივარზე ზრუნვით გამსჭვალული (მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა) ილია მართლის შემოქმედება, ქართველი ერის გადარჩენის გზებს, მითიურ-რელიგიური ასპექტებით, ფილოსოფიურად გვიხატავდა. პოემა „აჩრდილი“, თითქოს ქართველი ერის სულზე მოგვითხრობს, მისი სრული ისტორიისა და მომავლის მიხედვით მოარულ სულზე - აჩრდილის სახით. პოემაში, ზემოხსენებული შრომისაკენ მოწოდებას ცვლის, თავად მშრომელებისადმი მონათმფლობელური დამოკიდებულების კრიტიკა. მშრომელები, იმის ნაცვლად, რომ ხალასი შრომის სიყვარულით გამოწვეულ სიხარულს განიცდიდნენ, არანორმალურ ოფლისღვრასა და მძიმე სამუშაო პირობებზე ჩივიან. მძიმე შრომის ნაყოფი მხოლოდ ბატონს ახარებს, ხოლო, ბედკრული მშრომელი კაცი თავის ცოლ-შვილით, შემოსავლის უსამართლო განაწილების გამო რჩება გაუხარელი (ჭავჭავაძე, 1975: 57).

უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლით, წმინდა ილია მართალი, როგორც ახალი ეპოქის მაუწყებელი, თავისუფლების მოსაპოვებლად გზების ძიებას სახავს საუკუნის დიდ ტვირთად „...შრომისა ახსნა - ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის“. ამ პროტესტის დადებით შედეგს, იგი ზედროულ პლანში იაზრებს და იმიტომაც იყო, რომ ერის ხსნისა და გადარჩენის გზების ძიებამ პირველად სწორედ ილიას შემოქმედებაში ჰპოვა იმ მწყობრი და თანმიმდევრული კონცეფციის სახე, რომელიც მთელი ქართველი ხალხის ქმედებისა და ბრძოლის ნათლად გააზრებულ პროგრამად იქცა, - პროგრამად, რომლის საბოლოო მიზანს «შრომის სუფევასა» და «ძმობის, ერთობის, თავისუფლების» პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების აშენება წარმოადგენდა, როდესაც: „ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება“ (ჭავჭავაძე. 1975: 59-60).

ამგვარად, წმინდა ილია მართალი პოემაში „აჩრდილი“ ალეგორიულად საკუთარ თავთან ერთობაში „მარად და ყველგან მყოფ უკვდავ სულთან” კავშირით მოიაზრებს ქრისტეს, რომელიც არის თვირთმძიმეთა შემწყნარებელი და სწორედ მისი კაცთმოყვარების სახიერებითა და მადლით უნდა წარწყმდეს ძარცვა და რბევა. ამის შედეგად არის შესაძლებელი ჩაგრულთა ბორკილების მსხვრევა და ნამდვილი ძმობა, ერთობა, თავისუფლების მიღწევა. ასე წარმოუდგენია წმინდა მოღვაწეს შრომის განთავისუფლება, იგივე ხსნა და, შესაბამისად ღვთიური შემოქმედების კალაპოტში დაბრუნება თავისი სათაყვანებელი ერისა.

**დასკვნა.** წმინდა წერილისა და წმინდა ილია მართლის მიერ შრომა მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ სათნოებად, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა ღირსეული სიცოცხლე

დაიმკვიდროს. თვით სახარებისეულად სარწმუნოა, რომ იერუსალიმში დიდებით შემავალი - ვირზე ამხედრებული მაცხოვარი - "ვირის" სახე-ხატით, სხვა სათნო თვისებებთან ერთად, შრომისმოყვარეობაზეც მიგვანიშნებს. ამასთანავე, ქრისტიანული კეთილი საქმეებით წარმართული შრომის სიმძიმეს - თავად ქრისტე გვიმსუბუქებს. ღმერთმა ადამიანებს უქმად ყოფნისთვის არ მოგვცა თავის მსგავსი შემოქმედებითი ნიჭი, არამედ მუდამ უნდა ვიმოქმედოთ და ბოლომდე ძალისხმევით უნდა ავითვისოთ ჩვენში არსებული საღვთო უნარები. ჩვენი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზება და საღვთოდ გამოყენება გვევალება, რისთვისაც სინამდვილეში გვაქვს იგი ბოძებული. საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე ხარჯვით, ჩვენსავე სასიკეთოდ არის შესაძლებელი ადამიანებმა მივაღწიოთ საბოლო განღმრთობას, როგორც კაცობრიობის განვითარების ყველაზე უზენაეს მიზანს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


ბიბლია. /Bible./ ძველი აღთქმა (მცხეთური ხელნაწერის მიხედვით, ძველი ქართული ტექსტი; ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის თარგმანი, ახალი ქართული) და ახალი აღთქმა (გიორგი მთაწმინდელისეული რედაქცია, ძველი ქართული; ბ. ბრეგვაძის თარგმანი, ახალი ქართული). Retrieved February 28, 2026, from https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/sarchevi.php

ბაქრაძე, ა. /Bakradze, A./ (2004). არაფრობის უარყოფა. In ა. გომართელი & ლ. ბრეგაძე (შემდგენელ-რედ.), აკაკი ბაქრაძე – სკოლას: დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში საშუალო სკოლებისათვის. თბილისი. Retrieved February 28, 2026, from http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/statiebi/arafrobis_uaryofi.htm

ბაქრაძე, ა. /Bakradze, A./ საქმით მეტყველი სული. აკაკი ბაქრაძე // აკაკი ბაქრაძე - სკოლას : დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში საშუალო სკოლებისათვის /შემდგენელ-რედაქტორები: ამირან გომართელი, ლევან ბრეგაძე. - თბილისი, 2004, გვ. 117-125 Retrieved February 28, 2026, from http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/statiebi/saqmiT-metyveli_suli.htm

ბულგარელი, თ. მარკოზის სახარების განმარტება. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი Retrieved February 28, 2026 http://orthodoxy.ge/tserili/teofilaqte/markozi/sarchevi.htm

ქიქოძე, გ. /Kikodze/სიტყვა მეორესა კვირიაკესა დიდ მარხვისასა. წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე). Retrieved February 28, 2026, https://www.orthodoxy.ge/tserilebi/gabriel/didmarkhva24.htm

შიოშვილი, ზ. /Shioshvili,Z./ მათეს სახარების განმარტება წმინდა მამათა სწავლების მიხედვით. მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი: წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი Retrieved February 28, 2026 http://orthodoxy.ge/tserili/zosime/sarchevi.htm

ჭავჭავაძე, ი. /ChavChavadze, I./ (1893). ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი. ტფილისი. Retrieved February 28, 2026 https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2014/03/24/chveni-qveynis-ekonomiuri-ckhovrebis-sazrunavi)

ჭავჭავაძე, ი. /ChavChavadze, I./ (1897). რა გითხრათ? რით გაგახაროთ? Retrieved February 28, 2026, http://geolit.ge/ilia/ra_gitkhrat.htm

ჭავჭავაძე, ი. /ChavChavadze, I./ (1974). რჩეული ორ წიგნად(წიგნი I). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჭავჭავაძე, ი. /ChavChavadze, I./ (1975). რჩეული ორ წიგნად (წიგნი II). თბილისი: საბჭოთა საქართველო.